

გერმანული და ქართული ენის (სუპრა)სეგმენტალური ასპექტისათვის თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში

რამაზ სვანიძე, გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

წარმოთქმა უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაში. ის ინდივიდის სავიზიტო ბარათი და წარმატებული კომუნიკაციის საწინდარია, რომელიც სოციალურ პოზიციასა და იმიჯს განსზაღვრავს [Benkowitz 2004: 11]. უცხოური ენის შემსწავლელთათვის დახვეწილი ფონეტიკური ბაზა ორჯერ უფრო მეტად აუცილებელია, რადგან ხელს უწყობს გაგება-გაგებინების პროცესს, აღქმის ზოგად კომპეტენციასა და ინტეგრაციას. ვისაც კარგი წარმოთქმა აქვს, პოზიტიურ და დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგანაც ის ავტომატურად ენის კომუნიკაციური კომპეტენციის მაღალი დონის მანიშნებელია. ფონეტიკის დაუფლება ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია, რაც დიდ პატივისცემასა და აღიარებას იწვევს. ჰირშფელდის აზრით, არა მხოლოდ ლექსიკა ან გრამატიკა, არამედ წარმოთქმაც დამოკიდებულია სიტუაციასა და ტექსტის სახეობაზე. ადეკვატური წარმოთქმა ინდივიდის ჯგუფისადმი კუთვნილებას განსაზღვრავს. უცხოური ენის მაღალი ფლობა მაშინაა მიღწეული, როცა პროსოდიული საშუალებებით გამოხატული გრძნობები და დამოკიდებულებები სრულად აღიქმება [Hirschfeld 2008].

კარგი წარმოთქმა სწავლისა და სწავლების პროცესის გვირგვინია, რადგანაც მის გარეშე არასრულყოფილი სურათი იქმნება მაშინაც კი, როცა დანარჩენი უნარ-ჩვევები მაღალ დონეზეა განვითარებული.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, წარმოთქმას ლექსიკისა და გრამატიკისგან განსხვავებით ნაკლები ყურადღება ექცევა. საერთოევროპულ რეფერენციალურ ჩარჩოში ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებაა ამ საკითხთან დაკავშირებით: ლინგვისტურ კომპეტენციას განეკუთვნება როგორც ლექსიკური, გრამატიკული და სემანტიკური, ასევე ფონოლოგიური ასპექტი. ეს უკანასკნელი მოიცავს შემდეგ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს აღქმასა და პროდუქციაში: ფონემა და ალოფონი, ფონეტიკური მახასიათებლები, ბგერითი შედგენილობა, ინტონაცია და რედუქცია.¹

ჰირშფელდი უკმაყოფილოა ფონეტიკის ცვალებადი როლით: 70-იან წლებამდე „ნორმატიული“ წარმოთქმის დაუფლება აუცილებელი იყო, თუმცა ე. წ. კომუნიკაციური გადატრიალების შემდეგ მას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს სიტუაცია რთული ასახსნელია, რადგან ფონეტიკურ-ფონოლოგიური კომპეტენცია კომუნიკაციის აუცილებელი საფუძველია. აქედან გამომდინარე, 90-იანი წლების სახელმძღვანელოებში ფონეტიკური სავარჯიშოები არ მოიპოვებოდა. დღესდღეობით მდგომარეობა შეიცვალა: მართალია, ფონეტიკური სავარჯიშოები სახელმძღვანელოთა უმეტესობაში გვხვდება, მაგრამ ისინი არაა

¹ Gemeinsamer europäischer Referenzrahmen für Sprachen: Lernen, lehren, beurteilen. Unter: <http://www.goethe.de/Z/50/commeuro/5020104.htm> (abgerufen am 5.10.2016).

გერმანული ენის ქართველი შემსწავლელებისათვის შედგენილი და მათ სპეციფიკურ მოთხოვნებსა და თავისებურებებს ვერ ასახავს [Hirschfeld 2011: 10-17].

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზრდასრულ ასაკში უცხოური ენის შესწავლა უმეტესწილად გაცნობიერებულად მიმდინარეობს. იმიტაციის ნაცვლად ენის შემსწავლელებს ესაჭიროებათ წესები, რჩევები საგნობრივ ჭრილში, „ლოგოპედიური“ და „ფსიქოთერაპიული“ დახმარება [Ebenda: 14].

პირშველდზე დაყრდნობით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: რადგანაც მასწავლებელი მეტწილად განაპირობებს ენის შემსწავლელების წარმოთქმას, ფონეტიკურ-ფონოლოგიურ მხარეს უნივერსიტეტში დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით უნდა მოპყრობა. მომავალი პედაგოგი უნდა ფლობდეს თეორიულ ცოდნას კონტრასტულ ჭრილში, უნარ-ჩვევებსა და სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს [Ebenda].

მეტყველებისას დროში კოორდინირებულად მუშაობენ ერთმანეთთან დაკავშირებული დამოუკიდებელი ორგანოები, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემისაგან იმართებიან. ისინი სამ ჯგუფად იყოფიან და შემდეგი პროცესებისათვის არიან პასუხისმგებელი: რესპირაცია, ფონაცია და არტიკულაცია. კარგი წარმოთქმისათვის აუცილებელია წარმოდგენის შექმნა აქტიურ და პასიურ სამეტყველო ორგანოებზე. პირველ ჯგუფს განეკუთვნება: ბაგეები, რბილი სასა, ნაქი, ენა, ქვედა ყბა, სახმო სიმები, ხოლო მეორეს - კბილები, ნუნები, მაგარი სასა, ცხვირის ღრუ. ლაბიოდენტალური სპირანტის [f], რომელიც ქართულ ბგერათა სისტემაში არ მოიპოვება, წარმოთქმისას ქვედა ყბა იწევს ზედა კბილებისაკენ და წარმოქმნის ნაპრალს, რომელშიც ჰაერის ნაკადი გაედინება. ენის ზურგი აწეულია ზემოთკენ, მაგრამ მაგარ სასას არ ეხება. კბილთაშუა ღიაობა მცირეა [Aderhold/Wolf 1994: 39; Fiukowski 2010: 262; Grove 1998: 36; Krech 2009: 78; Preu 1988: 112].

ენობრივი სეგმენტის ანალიზისას უნდა აღიწეროს მისი ფონეტიკური და ფონოლოგიური მახასიათებლები, დადგინდეს მისი მნიშვნელობა სისტემაში. ფონეტიკა შეისწავლის ენის არტიკულაციურ, აუდიტიურ და პერცეფციულ ასპექტებს, ფონოლოგია - მნიშვნელობის განმასხვავებელ ელემენტებს [Fuhrop 2013: 2-6]. ფონემა მნიშვნელობას განასხვავებს სამ პოზიციაში (სიტყვის თავში, შუასა და ბოლოში) [Hall 2000: 37f.]: მაგალითად, Mitte [m□tə] და Bitte [b□tə], Nieter [ni□t□] და nieder [ni□d□], ab [ap] და am[am]. ეს სეგმენტები /m/, /b/, /t/, /d/, /p/ გერმანული ენის ფონემურ ინვენტარს მინიმალური წყვილების საფუძველზე განეკუთვნება.

გერმანული და ქართული თანხმოვნების შედარებისას შემდეგი სურათი გამოიკვეთა: ქართული ენის ხშულთა სამეულებსა /b-p□-p□, d-t□-t□, dz-ts□-ts□, d□-t□□□-t□□, g-k□-k□ / და ხახისმიერ /q□/-ს უპირისპირდება გერმანულ ენაში სამი წყვილური /p-b, t-d, k-g/. თითოეული სამეული შედგება ერთი მჟღერის, ფშვინვიერისა და მკვეთრისაგან. გერმანული ენის ხშულების შესწავლა სირთულეს არ წარმოადგენს. აფრიკატებიდან [pf ts □ d□] მხოლოდ შემდეგი კომბინაციაა [pf] უჩვეულო და ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს. გლოტალური ყრუ ხშული [□] ასევე პრობლემატურია, რადგან ქართული ხმოვნები სიტყვის დასაწყისში შემართვის გარეშე წარმოითქმება. ქართული ენის შესწავლისას რთულია კავკასიური აბრუპტივებისა /p□ t□ k□ ts□ q□ t□□/ და /dz/-ს წარმოთქმა.

გერმანული და ქართული ნაპრალოვნები თითქმის მსგავსი მახასიათებლებით ხასიათდება: გერმანულისაგან განსხვავებით ქართულში სპირანტები ასპირაციით გამოირჩევა. ლაბიოდენტალური /f/ და პალატალური [ç] ქართულ ბგერათა სისტემაში არ გვხვდება. ქართული [□] რბილსასისმიერია, ხოლო გერმანული [□] - უვულარული.

ნაზალური ბგერები [m] [n] და [l] ორივე ენაში იდენტურია. მჟღერი ველარული [ŋ] და პალატალური აპროქსიმანტი /j/ ქართულში არ მოიპოვება.

ენის აწეულობისა და რიგის მიხედვით ხმოვნებს შორის ინტერფერენცია არ არსებობს. მოკლე ხმოვნები /□ □ a □ □/ ერთმანეთის მსგავსია. გერმანულისათვის რელევანტურია ხმოვნის ხანგრძლივობა და ხარისხი, ასევე ოპოზიცია - მახვილიანი-უმახვილო. მართალია, სვანურში ცალკეული შემთხვევები არსებობს, რომლებშიც სიგრძე-სიმოკლე ფონოლოგიური ხასიათისაა [ma□r□] (კაცი) - [mar□□] - (მაგრამ), თუმცა ეს მოვლენა, ძირითადად, „ფონეტიკური ბგერათრადენობით“ აიხსნება [ახვლედიანი 1949: 124 f.]. უთურგაძის მიხედვით, გრძელი ხმოვნები დისტინქტიურია თუმურში [უთურგაძე 1976: 13]. ქართული ხმოვნები ღია და დაუჭიმავია, შესაბამისად, დახურული და დაჭიმული ხმოვნების ადეკვატურად რეალიზება რთულია, თუ ეს განსხვავება არ იქნება გაცნობიერებული. უცხოურ აქცენტს აძლიერებს არასაკმარისი მახვილი და რედუქცია.

წინა რიგის ლაბიალიზებული ხმოვნები [y□ ø□ y æ] ქართულში არ მოიპოვება. მათი სუბსტიტუცია ხდება უკანა რიგის ხმოვნებით [u□ □ o□ □]. ლაბიალიზაციის ხარისხით ქართული უკანა რიგის ხმოვნები გერმანულ დაუჭიმავე და დაჭიმულ ლაბიალიზებულ ხმოვნებს შორისაა მოთავსებული: [u o] < [y□ ø□ u□ o□], მაგრამ [u o] > [y æ □ □].

ზოგიერთი სეგმენტის სტატუსი გერმანულ ენაში საკამათოა: მაგალითად, დორსალური ნაპრალოვნები, რომლებიც კომპლემენტარულადაა განაწილებული და სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება. /r/ როგორც ქართულში, ასევე გერმანულში კონტროვერსულ ბგერათა ჯგუფს განეკუთვნება. სიმარტივის გამო ფონემის ნიშნად გერმანულში აღებული მაქვს /r/ და /x/, თუმცა [□] და [ç] უფრო მეტი სიხშირით გამოირჩევა.

/r/ ქართულში ალვეოლარული ვიბრანტია, რომელიც მეტყველებისას რეალიზდება როგორც [□]/[r]. ამ ალოფონების გამოყენება დამოკიდებულია ინდივიდზე. გერმანულისაგან განსხვავებით ამ მოვლენას ენის მომხმარებლის რეგიონალურ წარმომავლობასთან ან სოციალურ სტატუსთან არაფერი აკავშირებს. გრასეგერი ამ ფენომენს „ინდივიდუალურ ვარიანტს“ უწოდებს, რომელიც გამოიყოფა „რეგიონალური“ და „სოციალური ვარიანტისაგან“ [Grassegger 2001: 87]. ახვლედიანის მიხედვით, ქართული „რ“ ვიბრირებს 2-ჯერ ან 3-ჯერ [ახვლედიანი 1949: 40]. აქვე მინდა ერთ ფაქტორს შევხებო: პირველი (L1) და მეორე (L2) ენა ერთიმეორეზე მოქმედებს. ეს ურთიერთზეგავლენა იწვევს ბგერის მახასიათებლების გადატანას ორივე მიმართულებით და ინტერფერენციის წყაროს წარმოადგენს. ზოგიერთი ქართველის „რ“ გერმანულის ზეგავლენით ძლიერ ვიბრაციას განიცდის და მჟღერი ნაქისმიერი ვიბრანტის თვისებებს იძენს.

გერმანულში კონსონანტური /r/ ფონემის რამდენიმე ალოფონი არსებობს: ნაქისმიერი ფრიკატივი [□], ნაქისმიერი ვიბრანტი [R], ალვეოლარული ვიბრანტი [r/□] [Grassegger 2001: 90; Kleiner et. al. 2015: 50 f.]. წინა ნორმისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც ყველა

კონტექსტში წინაენისმიერი „რ“ [r] რეალიზდებოდა, დღესდღეობით გამოიყენება უვეულარული სპირანტი [ʁ] და ვოკალური [ʁ]: ხმოვნის წინ გვხვდება [ʁ], ხმოვნის შემდეგ კი - [ʁ], [ʁ] ან [ʁ] [Rues et. al.: 2014, 33f.]. ფონეტიკური თვალსაზრისით, [ʁ] უვეულარულ-პოსტდორსალური თანხმოვანია, რომელიც [x]-ს მსგავსად შეიძლება ველარულ სფეროშიც იწარმოებოდეს [Meinhold/Stock 1980: 132f.]. ეკონომიური პრინციპიდან გამომდინარე ეს ფონემა შესაძლოა ველარულ ჯგუფს მივაკუთვნოთ.

ჰოლს უმახვილო ხმოვანი [ʁ] მიაჩნია /r/-ის ვოკალურ ალოფონად, რადგანაც ეს ფორმები გერმანულში ერთმანეთს ენაცვლებიან: z.B.: Bär-Bären, mager-magerer, wehrt, wehrst-wehre, kehrt, kehrst-kehre, ehrt, ehrt-ehre. მისი აზრით, [ʁ] წარმოითქმის მარცვლის ბოლოში ხმოვნის შემდეგ და მაქსიმუმ 2 თანხმოვნის წინ [Hall 2000: 71]. სრულიად ვიზიარებ მაინჰოლდისა და შტოკის თვალსაზრისს, რომ [ʁ]-ს არცერთ ვოკალურ სისტემაში არ გააჩნია ფონემის სტატუსი [Meinhold/Stock 1980: 91ff.]. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჰოლი ყველა მაგალითში უმარცვლო [ʁ]-ის ნაცვლად მარცვლოვანი [ʁ]-ის სიმბოლოს იყენებს, რაც არაა გამართლებული. მის მიერ აღწერილი წესი ვრცელდება უმარცვლო [ʁ]-ზე, რადგან [ʁ] დამოუკიდებელ სეგმენტს არ წარმოადგენს და -er-ის კომბინაციის შედეგად მიიღწევა.

რუესისა და დუდენის რედაქციის მიხედვით, ვოკალური „რ“ შემდეგ კონტექსტში გვხვდება [Rues et. al.: 2014, 33f.; Kleiner et. al. 2015: 52.]:

1. უმარცვლო [ʁ] გრძელი ხმოვნის შემდეგ [ʁʁ]: leer [leʁʁ], spür [ʃpʏʁʁ], Heer [heʁʁ], Lorbeer [loʁʁbeʁʁ], mehr [meʁʁ], მაგრამ Leere [leʁe], spüren [ʃpʏʁən], Heere [heʁe], Lorbeeren [loʁbeʁən], mehrere [meʁe]. [ʁ] წარმოითქმის მარცვლის დასაწყისში. აქვე უნდა ითქვას, რომ -en სუფიქსის წინ „r“ უმარცვლო [ʁ]-ად რეალიზდება: spazieren [paʦiʁn], stören [ʃtøʁn]. [aʁ]-ს შემდეგ ვოკალური „r“ თითქმის არ ისმის და ბგერათა კომპლექსი უნისეგმენტურ (მონოფტონგურ) სახეს იღებს, z.B.: ეს სიტყვები bar, gar, paart, zart წარმოითქმის როგორც [baʁ], [gaʁ], [paʁt], [tsaʁt] და არა [baʁʁ], [gaʁʁ] [paʁʁt], [tsaʁʁt]. სამხრეთ და აღმოსავლეთ გერმანიაში, დასავლეთ ავსტრიაში და შვეიცარიაში გრძელი ხმოვნის შემდეგ კონსონანტური „r“ გამოიყენება.
2. პრეფიქსებში er-, ver-, zer-, her- წარმოითქმის [ʁʁ] ან [ʁ]. მოკლე ფორმას სწრაფი მეტყველებისას ენიჭება უპირატესობა: erfinden [ʁʁʁfɪndən]-[ʁʁfɪndən]; versuchen [fʁʁʁsuxən]-[fʁʁsuxən]; zerreißen [tsʁʁʁraʁsən]-[tsʁʁraʁsən]; hergeben [hʁʁʁgeʁbən]-[hʁʁgeʁbən].
3. სუფიქსი -er პოზიციის მიხედვით რეალიზდება: მარცვლის შიგნით როგორც [ʁ], ხოლო მარცვლის საზღვარზე როგორც [ʁʁ], მაგალითად: hager [haʁgʁ], მაგრამ hagerer [haʁgʁʁ], klammern [klamʁn], du klammerst [duʁklamʁst], მაგრამ ich klammere [ʁʁʁʁklamʁe].
4. მოკლე ხმოვნების [ʁʁʁ œ a ʁʁʁ] შემდეგ, [iʁ]-სა და -en-ის წინ უმარცვლო [ʁʁ] ძალიან გავრცელებულია: sperren [ʃpʁʁʁn], Stern [ʃtʁʁʁn], fern [fʁʁʁn], wirr [vʁʁʁ], Ort [ʁʁʁt]. ვოკალური რეალიზაციის სიხშირე ნორმატიულ ხასიათს იძენს. დუდენი

ჯერჯერობით კონსერვატიულ გზას ირჩევს და ასეთ შემთხვევებში კონსონანტურ ვარიანტს ანიჭებს უპირატესობას [r].

კონტრასტული კვლევა შეცდომების ანალიზის გარეშე წარმოდგენილია, რადგანაც ეს უკანასკნელი გამოთქმული პროგნოზების გადამოწმებისა და გაქარწყლების საშუალებას იძლევა. ეს მიდგომები განსხვავებულ კითხვებზე სცემენ პასუხს: სად და რატომ გვხვდება შეცდომები, რაც ნორმიდან გადახვევის დაფიქსირებასა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენას უწყობს ხელს [Nossok 2009: 34].

2014-2015, ასევე 2016-2017 სასწ. წლებში ჩავატარე ორი ექსპერიმენტი. პირველ ექსპერიმენტში 18 სტუდენტმა წაიკითხა ცალკეული წინადადებები, რომლებშიც ფონეტიკური პრობლემები იყო წარმოდგენილი (ხმოვნის ხანგრძლივობა, შემართვა, /x/-ს ალოფონები, L-ის ველარიზაცია, ნაზალური ველარი [ŋ], დიფტონგების რეალიზაცია, [ə]-ს რედუქცია, ასიმილაცია, აფრიკატები, ბოლოკიდური ბგერის დაყრუება და სხვ.). მეორე ექსპერიმენტში 10 სტუდენტი დაკავებული იყო „რ“-ის ალოფონებით გერმანულ ანდაზებში. ამ გამოკვლევების მიზანი იყო, დიაგნოზირებული ინტერფერენციული მოვლენების დადასტურება ან უარყოფა, რათა შემუშავებულიყო მეთოდურ-დიდაქტიკური რჩევები. ყველა პროგნოზი დადასტურდა: მაგალითად, ქართული პრობანდები „რ“-ალოფონების რეალიზებისას არ ითვალისწინებდნენ მის პოზიციას. კონტექსტის მიხედვით „რ“ გერმანულ ენაში ცვლილებას განიცდის. პრობანდთა ნახევარი უვულარული ფრიკატივის [ʀ] ნაცვლად ალვეოლარულ ვიზრანტს [r] წარმოთქვამდა. მოკლე ხმოვნის შემდეგ მხოლოდ ორმა გამოიყენა უმარცვლო [ʀ], დანარჩენებმა - კონსონანტური ალოფონები: უმეტესწილად [r], იშვიათად [ʀ]. მხოლოდ სამი წარმოთქვამდა ვოკალიზირებულ „რ“-ს ([ʀ]/[ʀ]) ადეკვატურად, დანარჩენები თითქმის ყველგან ალვეოლარულ ვიზრანტს [r] მიმართავდნენ.

შემდეგში განვიხილავ ასპირაციისა და ბოლოკიდური ბგერის დაყრუების საკითხს: გერმანულისაგან განსხვავებით ქართული ხშულები [p t k] უფრო ძლიერადაა ასპირირებული [Rues et. al. 2014: 39f.; ახვლედიანი 1949: 78f.] და ფშვინვა ყველა პოზიციაში ხორციელდება: [skʰl] (სქელი), [skʰma] (სქემა), [tʰabʰtʰdʰleba] (შთაბეჭდილება), [tʰamʰmavali] (შთამომავალი) vs. Stamm [tʰm], spät [pʰt], Sketch [skʰt]. ასპირაციის ხანგრძლივობა წარმოადგენს ინტერფერენციის ძირითად წყაროს: [papa] (Papa) vs. [pʰapʰa] (Brei).

ბოლოკიდური მჟღერი ხშულები და ნაპრალოვნები [b d g; v z ʃ] მარცვლის ბოლოში ყრუვდება [p t k; f s ʃ]: Herbst [hʰpʰst], Obst [oʰpʰst], nebst [neʰpʰst]. ამ პროცესს არ ექვემდებარება ის სიტყვები, რომელთა ფუძეში გვხვდება შემდეგი კომბინაცია [b d g+n l] [Rues et. al. 2014: 35f.]: adlig [ʰaʰdlʰç], Adler [ʰaʰdlʰ], fiebrig [ʰfiʰbʰç], Zebra [ʰtseʰbʰa], segnen [ʰzeʰgnʰ], eignen [ʰagnʰ], regnen [ʰeʰgnʰ]. ამ მოვლენას ქართულშიც აქვს ადგილი: [kʰargad]/[kʰargat], [tʰkʰbilad]/[tʰkʰbilat]. ბოლოკიდური მჟღერის დაყრუება გერმანული სტანდარტული წარმოთქმის მნიშვნელოვანი კომპონენტია და ამ წესის არ გათვალისწინება ნორმიდან გადახვევას იწვევს, რაც უცხოური აქცენტის განმაპირობებელია. ქართულ ენაში ამ პროცესს საპირისპირო დატვირთვა აქვს.

ასევე მინდა შევხვო სუპრასეგმენტალურ მხარეს, კერძოდ, სიტყვათმახვილსა და რითმს: მახვილისადმი ქართულ ლინგვისტიკაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ვიზიარებ ფუტკარადისა და მიქაუტადის მოსაზრებას: ისინი გამოყოფენ სუსტ დინამიურ აქცენტს, რომელიც პირველ მარცვალზე მოდის [ფუტკარადე/მიქაუტადე 2014: 96f.]. გერმანულში აქცენტი მოძრავია, თუმცა დამოკიდებულია მორფოლოგიურ სტრუქტურაზე. ის მხოლოდ პირველ მარცვალზე არ მოდის და მნიშვნელობის განსხვავება შეუძლია [Stock 1996, 40].

აქცენტიდან გამომდინარე, გერმანული რითმა ნაკლებად მელოდიური და რბილია. მახვილიანი მარცვლები უფრო დაძაბულად და ხმამაღლა წარმოითქმება, უმახვილო კი - ხმადაბლა და შემოკლებულად [Ebenda: 69]. ენის შემსწავლელებთან მუშაობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს რითმულ ჯგუფებს, ტემპსა და პაუზას.

დანართში წარმოვადგენ ერთ პრობლემატურ სეგმენტზე, კერძოდ, „რ“-ზე მუშაობის მონახაზს: პირველ რიგში, უნდა იქნეს ეს ბგერა განხილული თეორიულ, შემდეგ პრაქტიკულ ჭრილში. წარმოთქმას უნდა უძღვოდეს მოსმენის სავარჯიშოები, რადგანაც პერცეფცია წარმატებულ კომუნიკაციას განსაზღვრავს. ბგერაზე ვარჯიში მიმდინარეობს სხვადასხვა კონტექსტში. პროგრესია შემდეგნაირად გამოიყურება: სიტყვები - სინტაგმა - ტექსტი. სავარჯიშოები ემსახურება როგორც პრობლემის გაცნობიერებას, ასევე ბგერის კორექტულ პროდუქციას. წარმოთქმაზე ვარჯიში მჭიდრო კავშირშია გრამატიკასა და ლექსიკასთან, მოქცეულია სიტუაციურ და თემატურ კონტექსტში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: ინტერფერენციის თერაპია უნდა განხორციელდეს ეფექტური სემინარული მუშაობით. სემინარის ხელმძღვანელი ენის შემსწავლელებს მხარში უდგას ვერბალური, პარავერბალური და არავერბალური საშუალებებით, ეპყრობა მათ პატივისცემით. მას გააჩნია როგორც მაღალი დარგობრივი, ასევე დიდაქტიკური კომპეტენცია და პედაგოგიური ტაქტი. პირველ რიგში, საერთო ძალისხმევით „უცხოური“ ჟღერადობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება დაიძლევა. ფონეტიკური სავარჯიშოების მიზანია, კომუნიკაციური უნარის, პერცეფციისა და (რე)პროდუქციის, განვითარება სეგმენტალურ და სუპრასეგმენტურ დონეზე.

დანართი

Vokalisches r [□□] - [□] kommt nach Vokalen (außer a□) vor. Der Mund öffnet sich wie beim [a], [□] oder [ə]. Der Zahnreihenabstand ist vom Kontext abhängig: Die mittlere Zunge hebt sich nach oben (zum Palatum). Die Zungenspitze berührt die unteren Schneidezähne. Die Lippen sind locker geöffnet, nicht labialisiert. **Beim stimmhaften uvularen Reibelaut** [□] sind die Lippen oval. Der Kieferabstand ist mittel. Die Zungenspitze hat Kontakt mit den unteren Schneidezähnen. Die mittlere Zunge hebt sich zum hinteren Palatum, das hintere Dorsum - zum Zäpfchen. Die hinteren Zungenseiten berühren die oberen Alveolen. Aus diesem Grund entsteht auf der Hinterzunge eine Rinne. Die Friktion bzw. das Reibegeräusch ist beim [□] im Gegensatz zum [x] weich. **Entstimmlichtes** [□□] wird nach stimmlosen Konsonanten (z. B. k, f, □) umgesetzt. Beim **Zungenspitzen-r** ist der Kieferabstand klein. Die Zungenspitze hat Kontakt mit

den oberen Alveolen. Die Zungenseiten formen mit den oberen Zähnen und mit dem Palatum zusammen ein Hindernis, was das Vibrieren des Luftstroms verursacht. Beim Produzieren **des Zäpfchen [R]** vibriert das Zäpfchen [Aderhold/Wolf 1994: 63; Fiukowski 2010: 228ff.; Grove 1998: 49; Krech 2009: 85ff.; Preu 1988: 121f.].

Konsonantisches r

[r] kommt vor dem Vokal im Silbenonset vor:

frisieren Karotte Krücke Rabe reiten retten Rücken Ruhm

vokalisches r ([r]/[rr])

1. nach langem Vokal [rr]: dir, Flur, Spur, Stier
2. in Präfixen er-, ver-, zer-, her- ([r]/[rr]) und im Suffix -er ([r]): erachten, erahnen, erblicken; verabreden, verachten, veralten, verbinden, verbringen, vereiteln; zerbrechen, zerdrücken, zerfließen, zerlegen; hergeben, herrühren, hersehen; Geier, Geber, hager, hoher, Hörer, mager, oder, Oper, quer, Toner
3. nach kurzem Vokal [r]: Narbe, Orden, Orgel, werben, werden

Ausnahme

nach langem a wird r nicht gesprochen:

Altar, bar, dar, gar, gebar, Haar, klar, rar, war, Zar

Ü. Wie werden r-Laute gebildet:

	[r]/[rr]	[r]	[R]	[r]/[rr]
Mundöffnung				
Lippen				
Zahnreihenabstand				
Zungenspitze				
Mittelzunge				
Zungenrücken				
Artikulationsstelle				
Artikulationsorgan				

Ü. Hören Sie und sprechen Sie nach.

pries prima Prinz Prise pro Prof Profi Prosa Prost prüde prüfen Prunk
 braten Braue braun Braut brav Brei breit Brett Brief bringen Brise Brite Brot Bruch brüsk brüten
 träge Träne trank Trance trat trauen Traum Treff Trend treu Treue Trick Trieb Trier Trio Trip Trog
 Drama dran Drang drauf Dreck drehen drei drein Dress drin Drink Droge drohen drum Druse Drüse

kräht Krake Kramm kramt krank Kranz krass kraus Krebs Kreme Kren krepp Kreta Kreuz Krieg
Grab graben gräbt grad Gräme Gramm grast Grat grate grau Graus graut Greis grell Grete Gieß
Frack Frame Frank Fraß Frau frech frei freuen Frida frisst froh Front Frost früh Frust
Schrank Schranke Schreck schrecken Schrei schreiben Schreier schreiten schrill Schritt schroff

Anlaut

Rad reiten Reiz remis rennen Reue retten Reis Rhein richten Richtung riechen Riese Riff Rille Rind
Ring rinnt Rippe Riss Ritt Rock rodeln Rohr Röhre röhren Rolf Rom Roman Rosa Rösch Rose rosig
Ross Rostock rot Rotwein Rotz rotzen Rouge Route Rübe rücken Ruder Rudi Ruf Rüge rügen Ruhe

Inlaut

April Ära Arche Erlös ernst Ernte erst Erwin Erz eurem Euro extra Garde Garn Gera Gerd gern Göre
Grab grad Gras grau Graus Greis grell Grete Griff Grill grob Grube Gruft grün Grund grünt Gruß
grüßen Gurke gurren Guru Güter Harke Harm Harn harren hart Härte Harz herab heran herb

Auslaut

aber Alter Amper Ämter Anker Ärger außer äußern Bäder bar Basar Bauer Bayer bevor Biber Bier
binär Boxer Chlor dafür daher Dakar Dekor der dir Döner dürr Eber erkor Esser fair Feier Feuer
Fieber Figur Flair Flur Foyer frier für Futur gar gebar Geber Gehör Haar Hader Hafer her hier

Ü. Welches Wort hören Sie? Markieren Sie es!

prägen	Brand
tragen	Druck
Kraft	Gras
fremd	wrang
schräg	Schramm
rasen	raten
Anruf	Rand

Ü. Markieren Sie das gehörte Wort und lesen Sie es vor! Welchen Laut hören Sie?

ç x l ə

1. mir mich
2. dir dich
3. Fahr Fach
4. bar Bach
5. dar Dach
6. Narr nach
7. Reise leise
8. Raben Laden
9. rau lau
10. Auer Aue
11. böser böse
12. inner innere
13. Krug klug

- 14. Frage Flagge
- 15. Frank flank
- 16. froh floh
- 17. Schramm Schlamm

Ü. Transkribieren Sie in den folgenden Wörtern den korrekten R-Laut (vokalisches [□□] oder konsonantisches [□]) und lesen Sie die Beispiele vor.

	Bär		Bären	
	Autoren		Autor	
	engere		enger	
	eure		euer	
	fahr		fahren	
	fair		faire	
	Figuren		Figur	
	friert		frieren	
	Haar		Haare	
	hagere		hager	
	Heere		Heer	
	höhere		höher	
	hör		hören	
	leer		leeren	
	Mohr		Mohren	
	Motoren		Motor	
	Rohre		Rohr	
	schoren		schor	
	klarer		klar	
	warum		Bier	
	rasen		Tracht	
	pur		rund	
	dringen		Rosen	
	Tor		Tore	
	sprechen		mürrisch	
	Marken		drüben	

Ü. In welchen Wortpaaren ist der r-Laut identisch? Transkribieren Sie den korrekten R-Laut ([□] [□□] [□] [□□]) und lesen Sie die Beispiele vor!

					identisch
--	--	--	--	--	-----------

	ordentlich		Ordnung		
	Rind		Rinder		
	Wurst		Würste		
	Frisur		Frisuren		
	Natur		naturell		
	Wort		wörtlich		
	musizieren		musiziert		
	Kur		Kuren		
	spür		Gespür		
	leeren		leert		
	Fraktur		Frakturen		
	Monitor		Monitoren		
	frieren		friert		
	bohren		bohrt		
	braten		brät		
	stören		stört		
	Juror		Juroren		
	Chor		Chöre		
	schreien		Schrei		
	freuen		Freude		
	dürfte		dürftig		
	Sensor		Sensoren		
	Textur		Texturen		
	Ursache		Ursachen		
	Spur		Spuren		
	wirr		verwirrt		
	dürr		Dürre		
	Kraft		kräftig		
	Krähe		kräht		
	Krone		krönt		
	Schreck		schrecken		
	schreiten		Schritt		
	Frage		fragt		
	Frost		frostig		

Ü. Welches Wort hören Sie? Markieren Sie und sprechen Sie nach.

1. mager – magere

2. Heere – Heer
3. Haar – Haare
4. Rohr – Rohre
5. Tour – Touren
6. mutiger – mutige
7. Rose – lose
8. Riese – Liese
9. Foren – Fohlen
10. dar – dann
11. Lücken – rüsten
12. Franzose - Franzoser

Ü. Finden Sie die Berufe in der Wortschlange. Lesen Sie sie vor.

dosetaxifahrerin autobüro busfahrer maurer krankenpflegerin kühlen winterbankangestellter ballwasserb
riefträger dorngrün fitnessbetreuerin optikerin rosekellnerin baddei

Ü. Welche Berufe haben diese Menschen? Sprechen Sie diese richtig aus. Beschreiben Sie andere Berufe!

Gärtnerin Sekretärin Raumpflegerin

.....

Ruth säubert Fußböden, reinigt Verglasungen und Mobiliar, wäscht Fliesen, Badewanne, Waschbecken. Sie entfernt Staub und kümmert sich für eine gute Raumluft. Außerdem leert sie Aschenbecher, Papierkörbe und entsorgt den Müll. Ihre Arbeitszeit ist oft unregelmäßig: Sie arbeitet sowohl in den Morgen- und Abendstunden als auch in der Nacht, am Wochenende und sogar in den Feiertagen.

.....

Renate mag die Natur sehr. Sie pflanzt, vermehrt, kultiviert, pflegt Pflanzen. Des Weiteren berät sie die Kunden.

.....

Rosalie vereinbart Termine, nimmt Telefonate entgegen, erledigt Korrespondenz, kopiert, sortiert Akten, schreibt Briefe und legt dem Chef zur Unterschrift, organisiert Veranstaltungen, bestellt einen Tisch zum Geschäftsessen, spricht Mutter- und Fremdsprache(n) fehlerfrei in Schrift und Wort.

Verkäuferin	Rita
Richterin	Ramona
Lehrer	Rolf
Dachdecker	Rüdiger
Fliesenlegerin	Rieke
Schneiderin	Regina
Rauchfangkehrer	Rudolf
Bauer	Rainer
Fabrikarbeiter	Robert

Automechaniker René

Ü. Was machen diese Menschen? Kreuzen Sie an. Bilden Sie andere Sätze.

- Feuerwehrmann a) Brände löschen, Tiere und Menschen retten, Hab und Gut schützen
b) Autos reparieren, Reifen wechseln, vollgelaufene Keller vollauspumpen

Bauarbeiter

Tischler

Apotheker

Glaser

Kindergärtner

Fernfahrer

Flugbegleiter

Bäcker

Elektriker

Maler

Ü. Ergänzen Sie die Sätze. Zwei Wörter bleiben übrig.

Apotheker Kindergärtner Elektriker Bildhauer Bauarbeiter Tischler Flugbegleiter Maler Maurer Fernfahrer

1. „Auch ein Grund, weshalb ich werden wollte: um meine Flugangst zu überwinden.“ (Der Tagesspiegel, 26.03.2005)
2. werden angehalten, beim Wickeln besser die Tür aufzulassen (Die Zeit, 30.01.2014, Nr. 06).
3. Die Galerie für moderne Kunst zeigt in sieben Räumen neue Werke des berühmtens unds, darunter großflächige Gemälde und Installationen (Die Zeit, 22.11.2016 (online)).
4. Ein ist am Mittwoch bei einem Arbeitsunfall in Hamburg-Altona schwer verletzt worden (Die Zeit, 22.11.2016 (online)).
5. Die in Deutschland geben immer weniger Antibiotika an Patienten ab (Die Zeit, 17.11.2016 (online)).
6. hatten die Weltkriegsbombe am Morgen bei Baggerarbeiten im dicht besiedelten Stadtteil Kaßberg entdeckt (Die Zeit, 26.10.2016 (online)).
7. Um die Autobahnmaut zu sparen, nehmen lieber die Landstraße Lübben - Brandenburg plant vorerst keine Sperrungen von Bundesstraßen für Lastwagen (Der Tagesspiegel, 24.05.2005).

Ü. Ergänzen Sie. Transkribieren Sie folgende Sprichwörter. Welches r wird gesprochen? Finden Sie die Ausspracheregeln.

Alte Liebe welket nicht,	der Schreiber lobt sein Tintenfass.
Auch wenn die Zeiten hart sind,	ist die Zeit.

Auf alten Pfannen	als fremder Braten.
Auf jeden Regen	lernt man kochen.
Besser eigenes Brot	folgt auch Sonnenschein.
Blut	ist dicker als Wasser.
Braune Augen sind gefährlich,	das Volk ist immer härter.
Der Reiter duldet Kalt und Nass,	auch wenn es dir das Herzen bricht.
Der beste Prediger	aber in der Liebe ehrlich.

1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.	9.

Ü. Transkribieren Sie folgende Zungenbrecher. Welches r wird gesprochen? Finden Sie die Ausspracheregeln.

Frische Kirschen knirschen nicht. Nicht knirschen frische Kirschen.

Kreischende Krähen knabbern im kalten Winter Kerne und Körner.

Der Krabbenfischer knabbert Knabberkrabben, Knabberkrabben knabbert der Krabbenfischer.

Ein sehr schwer sehr schnell zu sprechender Spruch ist ein Schnellsprechspruch.

Ü. Lesen Sie diese Gedichte vor. Transkribieren Sie sie. Welches r wird gesprochen? Finden Sie die Ausspracheregeln.

Max Dauthendey

Und Regen fällt zu Regenguss²

Ein Regen ernst und würdevoll

Wirft Wasser in den vollen Fluss,

Als ob das Flussbett bersten soll;

Die Welt zu Wasser werden muss.

Und immer neues Wasser läuft,

Und Regen fällt zu Regenguss,

Und Regen sich zu Regen häuft

Wie Sehnsucht, die mit jedem Fuß

Auf neuer Sehnsucht fußen muss.

Joachim Ringelnatz

Im Park³

² Unter: <http://gutenberg.spiegel.de/buch/-1028/1> (abgerufen am 15.09.2016).

Ein ganz kleines Reh stand am ganz kleinen Baum
Still und verklärt wie im Traum.
Das war des Nachts elf Uhr zwei.
Und dann kam ich um vier
Morgens wieder vorbei,
Und da träumte noch immer das Tier.

Nun schlich ich mich leise - ich atmete kaum -
Gegen den Wind an den Baum,
Und gab dem Reh einen ganz kleinen Stips.
Und da war es aus Gips.

Richard Dehmel

Das ewige Ziel⁴

Wir werden's immer spüren
und niemals weiter bringen:
die Seele will sich rühren
und dabei Ruh erringen.

დამოწმებანი

ადერჰოლდი/ვოლფი 1994: Aderhold, Egon/Wolf, Edith. Sprecherzieherisches Übungsbuch. Berlin: Henschel, 1994.

ახვლედიანი 1949: ახვლედიანი, გიორგი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949.

ბენკვიცი 2004: Benkwitz, Annaliese. Kontrastive phonetische Untersuchungen zum Rhythmus. Frankfurt am Main: Peter Lang, 2004.

გრასეგერი 2001: Grassegger, Hans. Phonetik, Phonologie. Idstein: Schulz-Kirchner, 2001.

გროვე 1998: Grove, Gerold. Übungen zur deutschen Standardaussprache. Erfurt: Pädagogische Hochschule, 1998.

კლაინერი 2015: Kleiner, Stefan et. al. Das Duden-Aussprachewörterbuch. Berlin: Bibliographisches Institut, 2015.

კრეხი 2009: Krech, Eva-Maria et.al. Deutsches Aussprachewörterbuch. Berlin: de Gruyter, 2009.

მაინჰოლდი/შტოკი 1980: Meinhold, Gottfried/ Stock, Eberhard. Phonologie der deutschen Gegenwartssprache. Leipzig: Bibliographisches Institut, 1980.

ნოსოკი 2009: Nossok, Swetlana. Kontrastive phonologische und phonetische Analyse Weißrussisch-Deutsch und Analyse interferenzbedingter Ausspracheabweichungen. Frankfurt: Lang, 2009.

³ Unter: https://www.vorleser.net/ringelnatz_im_park/hoerbuch.html (abgerufen am 15.09.2016).

⁴ Unter: <http://gutenberg.spiegel.de/buch/-1732/24> (abgerufen am 15.09.2016).

- პროი 1988: Preu, Otto. Sprecherziehung. Berlin: Volk und Wissen, 1988.
- რუესი: Rues, Beate et. al. Phonetische Transkription des Deutschen. Tübingen: Narr, 2014.
- უთურგაიძე 1976: უთურგაიძე, თედორე. ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა. თბილისი: მეცნიერება, 1976.
- ფიუკოვსკი 2010: Fiukowski, Heinz. Sprecherzieherisches Elementarbuch. Berlin: de Gruyter, 2010.
- ფურჰოპი/პეტერსი 2013: Fuhrhop, Nanna/Peters, Jörg. Einführung in die Phonologie und Graphematik. Stuttgart: Metzler, 2013.
- ფუტკარაძე/მიქაუტაძე 2014: ფუტკარაძე ტარიელ/მიქაუტაძე მაია. ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა. თბილისი: უნივერსალი, 2014.
- შტოკი 1995: Stock, Eberhard. Deutsche Intonation. München: Langenscheidt, 1995.
- ჰირშფელდი 2011: Hirschfeld, Ursula. Phonetik im Kontext mündlicher Fertigkeiten. In: Babylonia, Heft 2, 2011.
- ჰირშფელდი 2008: Hirschfeld, Ursula. Lernziel: gute Aussprache. In: Rundbrief 58, 2008. Unter: http://www.akdaf.ch/html/rundbrief/rbpdfs/58_gute_aussprache.pdf (abgerufen am 07.09.2016).
- ჰოლი 2000: Hall, Tracy Alan. Phonologie. Berlin: de Gruyter, 2000.